

ქართული გალობა  
ანთოლოგია

Georgian Chant  
Anthology

XXVIII



ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

Anzor Erkomaishvili Folklore State Centre

ფონდი ქართული გალობა

Georgian Chanting Foundation

ქართული გალობა  
ანთოლოგია  
ტომი XXVIII

იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, პირველშენიერულის  
(პაპ გრიგოლ დიდის, „დიალოგოსის“) ლიტურგიების,  
ჯვრისწერისა და ხელდასხმის განგებათა საგალობლები

Georgian Chant  
Anthology  
Volume 28

Chants for the Liturgies of John Chrysostom, Basil the Great,  
Presanctified Liturgy (Liturgy of Pope Gregory the Great),  
Marriage Service and Ordination

თბილისი  
Tbilisi  
2023



ანთოლოგიის XXVIII ტომში დაბეჭდილია არქიმანდრიტ სოფრონ ერისთავისაგან ანდრია მრევლიშვილის მიერ 1842 წელს ჩაწერილი იოანე ოქროპირის წირვის საგალობლები (აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია). ასევე, წინამდებარე ტომში წარმოდგენილია რაჭდენ ხუნდაძის მიერ ნოტირებული იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და „პირველშენიშულ ძღვენთა“ ლიტურგიების, მღვდლის კურთხევისა და ჯვრისწერის განგებათა ჰიმნები (დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია). ამ საგალობელთა უმრავლესობა პირველად ქვეყნდება.

Hymns (the Eastern Georgian chant tradition) for the Liturgy of John Chrysostom transcribed by Andria Mrevlishvili from Archimandrite Sophron Eristavi in 1842 are printed in Anthology Volume 28. Likewise, hymns (the Western Georgian chant tradition) for the liturgies of John Chrysostom and Basil the Great, the Presanctified Liturgy, and the marriage and ordination services notated by Razhden Khundadze are presented in the current volume. Most of these chants are being published for the first time.

**იდის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი:** სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი  
**Author and project leader:** Svimon (Jiki) Jangulashvili

**XXVIII ტომის შემდგენლები და მუსიკალური რედაქტორები:** ლევან ვეშაპიძე, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი  
**Compilers and musical editors of Volume 28:** Levan Veshapidze, Svimon (Jiki) Jangulashvili

**შესავალი წერილების ავტორები:** სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი, გოჩა ბიძინაშვილი  
**The authors of introductions:** Svimon (Jiki) Jangulashvili, Gocha Bidzinashvili

**კომენტარების ავტორი:** სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი  
**The author of comments:** Svimon (Jiki) Jangulashvili

**რედაქტორი:** რუსუდან წურწუმია  
**Editor:** Rusudan Tsurtsunia

**მთარგმნელი:** ერიკ ჰალვორსონი  
**Translator:** Eirik Halvorson

**გამოცემაზე მუშაობდნენ:** ნინო რაზმაძე, ელიზბარ ხაჩიძე  
**The publication was prepared by:** Nino Razmadze, Elizbar Khachidze

**კონსულტანტები:** არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი, გიორგი ბარკავა  
**Consultants:** Archdeacon Demetre Davitashvili, Giorgi Barkava

**კომპიუტერული უზრუნველყოფა:** ლევან ვეშაპიძე, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი, გიორგი აბრამიშვილი  
**Computer services:** Levan Veshapidze, Svimon (Jiki) Jangulashvili, Giorgi Abramishvili

**დიზაინერი:** ნიკოლოზ გოგაშვილი  
**Designer:** Nikoloz Gogashvili

**პროექტის კოორდინატორი:** ნინო რაზმაძე  
**Project coordinator:** Nino Razmadze

© ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი  
Anzor Erkomaishvili Folklore State Centre

© ფონდი ქართული გალობა  
Georgian Chanting Foundation

ISMN 979-0-802-100-95-4 (ყველა ტომის)  
ISMN 979-0-802-101-96-8 (ოცდამეხუთე ტომის)

## შესავალი (XXVIII—XXIX ტომებისათვის)

ანთოლოგიის XXVIII—XXIX ტომებში კვლავ ვუბრუნდებით წირვის საგალობლების თემატიკას. იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და პირველშენიერულ მსხვერპლთა (გრიგორი დიდის, დიალოგონის) ლიტურგიების საგალობლები, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციებისა, დაბეჭდილია ანთოლოგიის I—V და XVIII—XXI ტომებში. ეს მასალა აღებულია XIX—XX საუკუნეების ხელნაწერი თუ გამოცემული კრებულებიდან, რომლებიც სწორედ სამი წირვის ლიტურგიკულ განგებას ეძღვნებიან. XXVIII—XXIX ტომებში კი, იბეჭდება წირვის საგალობლები, რომლებიც ამოკრებილია ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის სხვადასხვა ხელნაწერიდან. ამ ხელნაწერებს შორის, არის, როგორც წირვის საგალობლების კრებულები, ისე, თემატურად სხვადასხვაგვარი კოლექციები, რომელთა შორისაც გაბნეულია წირვის ცალკეული საგალობლები. უნდა აღინიშნოს, რომ მათგან ბევრი იდენტურია ზემოთ აღნიშნულ კრებულებში გამოქვეყნებული ნიმუშებისა, ზოგიერთი კი, განსხვავებული, უნიკალური ნიმუშია მელოდიურ-ფაქტურული და კომპოზიციური თვალსაზრისით.

ამ მასალისაგან განცალკევებით დგას, და განსაკუთრებული ყურადღებისა და აღნიშვნის ღირსია წინამდებარე ტომის პირველ ნაკვეთში გამოქვეყნებული აღმოსავლეთ საქართველოს (ნათლისმცემლის მონასტრის) სამგალობლო ტრადიციის იოანე ოქროპირის წირვის წესი. ეს მემკვიდრეობა (54 საგალობელი) პირველად ქვეყნდება ანთოლოგიის წინამდებარე ტომში. საგალობლები 1842 წელსაა ნოტირებული ანდრია მრევლიშვილის მიერ, მათი გადმომცემია არქიმანდრიტი სოფრონი (ერისთავი). მრევლიშვილის ეს ჩანაწერი ჩვენამდე მოღწეულ უძველეს სანოტო წყაროს წარმოადგენს წირვის საღვთისმსახურო განგებისა, რომელიც შესრულებულია დ. ჩიჯავაძის ჩანაწერებზე 21 წლით, ხოლო ქორიძისა თუ კარბელაშვილების ჩანაწერებზე რამდენიმე ათეული წლით ადრე.

ამ საგალობელთა შესახებ დაწვრილებითი საუბარი მათი პირველ-მიმკვლევისა და მათ შესახებ პირველი ფუნდამენტური კვლევის ავტორის, ახალგაზრდა მუსიკოლოგისა და მგალობელ-ლოტბარის, გოჩა ბიძინაშვილის ნარკვევშია, რომელიც წინამდებარე შესავლის შემდეგ ქვეყნდება. ჩვენ კი მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ — ეს უნიკალური მასალა, ერთი მხრივ, ცალკე მდგომ მუსიკალურ-სასულიერო სკოლას — ნათლისმცემლის მონასტრის ტრადიციას წარმოგვიდგენს, მეორე მხრივ კი, მისი ესთეტიკა და მუსიკალური ფორმა, ენა-აზროვნება სრულიად ჯდება აღმოსავლეთ საქართველოს და, ზოგადად, ქართული სამგალობლო ტრადიციის ფარგლებში. ეს მემკვიდრეობა კიდევ ერთხელ წარმოგვიდგენს ქართული მუსიკალური კულტურის მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს. იგი მადლიერებას იწვევს ჩვენი წინაპრებისა და

საღვთო განგებულების მიმართ, უამრავი ისტორიული განსაცდელის მიუხედავად, ქართული მუსიკალური საგანძურის ჩვენამდე მოტანისათვის.

XXVIII ტომის II ნაკვეთში იბეჭდება რ. ხუნდაძის ხელნაწერებში არსებული წირვის ყველა (165) საგალობელი. რ. ხუნდაძის მიერ ნოტირებული საგალობლების ესთეტიკისა და სტილის შესახებ ჩვენ ანთოლოგიის V ტომშიც ვსაუბრობთ. აქ კი დავძენთ, რომ წინამდებარე ტომი კიდევ ერთხელ წარმოგვიდგენს რაჟდენ ხუნდაძეს, როგორც ქართული სამგალობლო ტრადიციის გამორჩეულ დიდოსტატს და ღვანღმოსილ, ამაგდარ მოღვაწეს. ის ერთ-ერთი წამყვანი მგალობელი იყო იმ ჯგუფში, რომელთაგანაც ფ. ქორიძემ ჩაიწერა საგალობლები. რ. ხუნდაძის ხელნაწერებში მოცემული მასალა, მელოდიური მრავალფეროვნების თვალსაზრისით, კიდევ უფრო ამდიდრებს და სრულყოფილს ხდის საერთო სურათს ქართული სამგალობლო ტრადიციისა. ხუნდაძის მემკვიდრეობაში გვხვდება მრავალი საგალობელი, რომელიც არაა ქორიძისა და კერესელიძის ნოტირებულ კოლექციებში. მელოდიური ასპექტის გარდა, ხუნდაძის ხელნაწერებში გვხვდება ფაქტურულ-ჰარმონიული თვალსაზრისით ცალკე მდგომი ჰიმნებიც (მაგ. „წმიდა არს! წმიდა არს“-ის №141—142 ნიმუშები), ამასთან, აქ წარმოდგენილია არაერთი „სადა“ თუ „ჭრელი“ საგალობელი, რომლებიც სამუდამოდ დაგვეკარგებოდა, რ. ხუნდაძეს რომ არ ჩაენერა ისინი (ამ მხრივ, მხოლოდ „სადა“ თუ „ჭრელი“ „ნუ მტირ მე, დედაო“-ს ვარიანტების გახსენებაც საკმარისია).

\* \* \*

ანთოლოგიის ტომებში ხუნდაძის ხელნაწერებში მოცემული საგალობლების შეტანა XVIII ტომიდან დავიწყეთ — სწორედ აქედან მოყოლებული, ჩვენ ვცდილობთ, თავისებურად „გავმუკლავდეთ“ სამგალობლო ხელნაწერებისთვის დამახასიათებელ ერთ „პრობლემას“ — კერძოდ კი, შემდეგ გარემოებას (რის შესახებაც ჩვენ I—II და სხვა ტომების შესავლებშიც ვსაუბრობდით): XIX—XX საუკუნეთა ხელნაწერ თუ გამოცემულ სანოტო კრებულებში მრავლადაა როგორც ურთიერთ-განსხვავებული, ისე, მსგავსების მეტ-ნაკლები ხარისხის მქონე ნიმუშებიც. ამის მიზეზი, გალობის ნოტირების ისტორიის და ხანგრძლივობის გარდა, თავად ღვთისმსახურების ბუნებაშიც ძევს — სხვადასხვა განგებაში არა-ერთგზის მეორდება ესათუის საგალობელი. შესაბამისად, ამათუიმ განგების ნოტირებისას, საგალობელთა გადმომცემ-ჩამწერნი ვერ გაექცეოდნენ ცალკეული ჰიმნის დუბლირებას, ან მათი სხვადასხვა ვარიანტის დაფიქსირებას.

ანთოლოგიის შედგენისას, ვერც ჩვენ ვერ გავექეცით ამ მომენტს — თუკი II—IV ტომებში ჩვენ აღმ. საქართველოს სამგალობლო ტრადიციის (იმ მომენტისათვის ხელმისაწვდომი) ყველა წირვის საგალობელი გამოვკრიბეთ და შევიტანეთ (ამ პროცესს 10 წლამდე შრომა დასჭირდა), სხვა ტომებში, თავად ჩამწერთა მიერ სისტემატიზებულ და გაერთიანებულ ჰიმნთა კოლექციები გამოვეცით — ასეთია I, V—IX, XII—XVII ტომები. XI—XII და XVIII—XXI ტომებში ჩვენ გავაერთიანეთ როგორც თემატურ-

სისტემატიზებული კოლექციები, ისე სხვადასხვა, მრავალფეროვან კრებულში გაბნეული ცალკეული საგალობლები. ხელნაწერი თუ გამოცემული ერთიანი, თემატურ-სისტემატიზებული კოლექციების უმთავრესი ნაწილი ამ ტომებში გამოიცა. ამის შემდეგ კი, სხვა კოლექციების გამოცემისას, წავაწყდით ხსენებულ გარემოებას — ამა თუ იმ განგების თუ დღესასწაულის არაერთი ჰიმნი თუ მიკროციკლი სხვადასხვა საწარმოო კრებულში არაერთგზის მეორდებოდა. თუკი ჩვენ წავყვებოდით თავიდან არჩეულ მეთოდს — აბსოლუტური თანმიმდევრობით გამოგვეცა ყველა საწარმოო კრებული, ვერ გავქვეყნებდით მასალის უთავბოლო დუბლირებას.

ამიტომ, ანთოლოგიის XXII ტომიდან განსხვავებული ტიპის მუშაობას შევუდექით — დავიწყეთ სხვადასხვა ხელნაწერში გაბნეული მასალის სისტემატიზება და თემატურ-ლიტურგიკული თვალსაზრისით მათი გაერთიანება. XXII ტომში შევიტანეთ ქორიძის, კერესელიძისა და ხუნდაძის ხელნაწერებსა თუ გამოცემებში მოცემული ყველა საწარმოო ჰიმნი, XXIII-ში — დიდი ხუთშაბათის, XXIV—XXV-ში, დიდი პარასკევის, XXVI—XXVII-ში — დიდი შაბათის ყველა დასავლურ ქართული საგალობელი.

ვინაიდან, ანთოლოგიას არა მხოლოდ სამეცნიერო-წყაროთმცოდნეობითი, არამედ, უპირველესად, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ცხადია, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ავცდით ცალკეული ჰიმნის დუბლირებას. მაგ. წინამდებარე კრებულში ხუნდაძისეული წირვის საგალობლებთან შესადარებლად, ვბეჭდავთ ხუნდაძის „წირვაში“ (ხუნდაძე, 1911) მოცემულ ჰიმნთა ხმათასვლასაც. ანუ, ვაჩვენებთ ერთსახელიანი საგალობლების ხელნაწერისეულ და უკვე (ჩამწერისა თუ ჩვენ მიერ) გამოქვეყნებულ ვარიანტებსაც.<sup>1</sup> ცხადია, ანთოლოგიის დასრულების შემდეგ, როდესაც, ბოლოს და ბოლოს, დაზუსტდება საგალობელთა მთლიანი რაოდენობა, ასეთი ნიმუშები საგალობელთა საერთო სათვალავში არ უნდა ჩაითვალოს.

ასევე, XXIX ტომში, მაინც გვინევს, მანამდე, I, V თუ XVIII—XXI ტომებში გამოქვეყნებული ზოგიერთი საგალობლის იდენტური ნიმუშის გამოქვეყნება. ამის მიზეზი გახდა ის, რომ ასეთი ნიმუშები არაერთ ხელნაწერშია მოცემული და, როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერი კრებულების გამოცემისას იდენტურ ნიმუშთა დაუსრულებელი გამოცემის ნაცვლად, უმჯობესად მივიჩნიეთ, მათი თავმოყრა ანთოლოგიის ერთ ტომში და შესაბამისი წყაროების მითითება (რომ, მაგ., კონკრეტული „წმიდაო ღმერთო“ კია დაბეჭდილი ანთოლოგიის კონკრეტულ ტომში, მაგრამ, ამასთან ის რამდენიმე ხელნაწერშია, ასევე, ჩანერილი).

ანთოლოგიის შემდგომ ტომების გამოქვეყნებისას, ჩვენ, ძირითადად, ზემოთ აღწერილ პრინციპს გავყვებით — შევაერთებთ თემატურ-ლიტურგიკულად იდენტურ

<sup>1</sup> ამასთან, თუკი ხმათასვლა მნიშვნელოვნად განსხვავდება, ხუნდაძის „წირვისეულ“ ვარიანტებს ცალკე ვბეჭდავთ. თუმცა, რადგანაც ისინი ანთოლოგიის V ტომში არიან გამოქვეყნებული, დიდწილად, წინამდებარე პუბლიკაციაში, მათ ცალკე ნომრებს აღარ ვაძლევთ, არამედ ერთსახელიანი ჰიმნის ნომრის შემდგომ, ა ან ბ ვარიანტის სახელით ვბეჭდავთ.

სხვადასხვა ხელნაწერს, სამგალობლო ციკლსა თუ კოლექციას. ამრიგად, ოდნავ მაინც განვტვირთავთ ანთოლოგიის შემდგომ ტომებს დუბლირების შემთხვევებისაგან და, იმავდროულად, ანთოლოგიის თითოეული ტომი, მეტად პრაქტიკული და გამოსადეგი იქნება გალობისა თუ ლიტურგიკის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

\* \* \*

ანთოლოგიის XXVIII ტომში მოცემული წირვის საგალობლები 9 სანოტო წყაროშია თავმოყრილი. ესენია:

### ხელნაწერი მოსკოვის გლინკას სახელობის მუსიკის მუზეუმიდან

1. მრევლიშვილი, 1842;

### ხელნაწერები ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრიდან:

1. ხუნდაძე, 2101;
2. ხუნდაძე, 2106;
3. ხუნდაძე, 2114;
4. ხუნდაძე, 2121;
5. ხუნდაძე, 2123;
6. ხუნდაძე, 2124;
7. ხუნდაძე, 2127;

### სანოტო გამოცემები:

1. ხუნდაძე, 1911.

სულ ანთოლოგიის XXVIII ტომში 219 საგალობელია დაბეჭდილი. მათგან უმრავლესობა პირველად იბეჭდება.

\* \* \*

XXVIII—XXIX ტომების წყაროებში მოცემული სხვა დღესასწაულებისა თუ განგებების ჰიმნები, ანთოლოგიის მომდევნო ტომებში დაიბეჭდება.

წყაროებში მოცემული მინაწერები თუ მითითება-აღნიშვნები უცვლელად გვაქვს გადმოტანილი სქოლიოებში, გარდა ჩვენ მიერ რედაქტირებული ზოგიერთი ტერმინისა თუ სიტყვის მოძველებული ან არასწორი ფორმებისა და დიალექტიზმებისა.

სქოლიოებში, ჰიმნთა წყაროების გვერდების მითითებისას, გამოყენებულია პროექტის „ქართული ტრადიციული საგალობლების ხელნაწერთა ბაზა“ ფარგლებში დიგიტალიზებული ხელნაწერების ფოტოების პაგინაცია.<sup>2</sup>

პოეტური ტექსტების რედაქტირებისას, დავეყრდენით, ბოლო საუკუნეების პრაქტიკაში დამკვიდრებულ ლიტურგიკულ წიგნებს. ამ წყაროთა მიხედვით გვაქვს გასწორებული ნოტირებულ ჰიმნთა პოეტური ტექსტების გრამატიკული თუ შინაარსობრივი შეცდომები. პოეტური ტექსტების სხვადასხვა წყაროში აღმოჩენილი განსხვავებები (მაგ., მორფოლოგიური) აღნიშნული არ გვაქვს, ვინაიდან ეს სცდება ჩვენს კომპეტენციას და ანთოლოგიის მიზანსა და დანიშნულებას.

ანთოლოგიის სხვა ტომების მსგავსად, XXVIII—XXIX ტომებშიც ვბეჭდავთ ზოგიერთი საგალობლის როგორც ხელნაწერისეულ, ასევე, საღვთისმსახურო მოთხოვნათა შესაბამისად ჩვენ მიერ რედაქტირებულ ვარიანტებსაც. ასევე, ამ ტომებშიცაა მოცემული ცალკეული საგალობლის ისეთი „პარალელური“ ვერსიებიც, რომლებიც ერთმანეთისაგან ჩვენ მიერ განსხვავებულად დასმული ალტერაციის ნიშნებით განსხვავდებიან.

როგორც მთლიანად ანთოლოგიაში, XXVIII—XXIX ტომებშიც ჩვენი სარედაქტორო სამუშაო შემოიფარგლება ალტერაციის ნიშანთა ცვლილებითა და აშკარა შეცდომების გასწორებით, რაღა თქმა უნდა, ყველგან შესაბამისი მითითებით კომენტარებში.

იმ შემთხვევებში, როდესაც ხელნაწერში ჩანერილია მხოლოდ I ხმა, ჩვენ მივუწერეთ დაკლებული ხმები, შესაბამისი აღნიშვნით სქოლიოში (ეს სამუშაო, ძირითადად, ლ. ვეშაპიძის შესრულებულია).

საგალობლების ფრაზებად და მუხლებად დაყოფა (ცეზურების აღმნიშვნელი მძიმეების, წყვეტილი თუ მთლიანი ტაქტის ხაზების მეშვეობით) ჩვენი რედაქტირების შედეგია (რადგანაც, ხელნაწერებში, ცეზურები, ძირითადად, ფერმატებითაა აღნიშნული, ან არაა მკაფიოდ გამოყოფილი). ფრჩხილებში ჩასმული ყველა მუსიკალურ-გრაფიკული სიმბოლო (ნოტები, ალტერაციის ნიშნები, ცეზურების აღმნიშვნელი მძიმეები, ფერმატები...) ჩვენი ჩამატებულია და მათი შესრულება სავალდებულო არაა. ისეთ აგოგიკური და ექსპრესიულ ნიუანსებს, რომლებიც ხელნაწერში მხოლოდ ქართულადაა ჩანერილი, ყველგან მივუწერეთ საერთაშორისო, იტალიური შესატყვისი.

დედნისეული ტექსტის ყველა სხვა ცვლილება პარტიტურის სქოლოებში, შენიშვნებში გვაქვს ასახული.

ანთოლოგიის შესავალ წერილში (იხ. ანთოლოგიის I ტომი) მოცემული მითითებები ეხება ყველა და, მათ შორის, XXVIII—XXIX ტომებში დაბეჭდილ საგალობლებსაც.

*სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი*

<sup>2</sup> <http://folk.gov.ge/baza/>



## XXVIII ტომში გამოყენებული და დამონმებული ლიტერატურა და სანოტო გამოცემები

1. ქორიძე, ფილიმონ. (1895). *ქართული გალობა: ლიტურგია იოანე ოქროპირისა // მღვდლისა და მღვდელმთავრისათვის // გადაღებული ფილიმონ ი. ქორიძის მიერ; გამომცემელი: ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი რ. ჭალავანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძის და ივლიანე ი. ნერეთლისაგან. რამდენიმე საგალობელი გამომცემელია მელქისედექ გ. ნაკაშიძისა და მღ. ნესტორ ე. კონტრიძისაგან. პარტიტურა №1 // ტფილისი: მაქსიმე შარაძის გამოცემა და სტ., 1895;*
2. ხუნდაძე, რაჟდენ. (1911). *ქართული გალობა: ლიტურგია იოანე ოქროპირისა, ბასილი დიდისა და გრიგორი ღვთის-მეტყველისა: პარტიტურა // ნოტებზე გადაღებული მღვდლის რაჟდენ თ. ხუნდაძის მიერ გურულ-იმერულ სადა კილოზე // ტფილისი: გამოცემა ესტატე სოლომანის-ძის კერესელიძისა, 1911.*

## XXVIII ტომში გამოყენებული და დამონმებული სანოტო ხელნაწერები

1. Q674 — *სამი წირვის წესი. ლიტურგია მღვდელმთავართათვის.* ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
2. Q689 — *წიგნი მეთოთხმეტე, სძლის-პირთა საგალობელნი.* ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
3. მრევლიშვილი, ანდრია. (1842). *ჟამი წირვისა, ქართულ კილოზედ [ქართული ტრადიციისა], სამ ხმად (ხელნაწერი).* მოსკოვის გლინკას სახელობის მუსიკის მუზეუმი; **ГЦММК КП-9334/13 - Ф-370-437.**
4. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2100. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
5. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2101. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
6. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2106. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
7. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2114. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
8. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2121. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
9. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2122. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
10. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2123. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
11. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2124. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
12. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2127. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი.

## სოფრონ არქიმანდრიტისაგან (ერისთავი) ანდრია მრევლიშვილის მიერ ჩაწერილი საგალობლები — ნათლისმცემლის მონასტრის სამგალობლო ტრადიცია

### ანდრია მრევლიშვილის ხელნაწერის შექმნის ისტორია

დღემდე ქართული საეკლესიო სამხმიანი საგალობლის ყველაზე ადრეულ საწარმოო ჩანაწერად 1863 წლით დათარიღებული დავით ჩიჯავაძის სამგალობლო კრებულები (იხ. ანთ., ტ. IV:13—78, №1—57) ითვლებოდა (შულღიაშვილი, 2011:46).

უახლესი კვლევებით გამოვლინდა 1842 წელს შესრულებული ანდრია მრევლიშვილის ხელნაწერი საწარმოო კრებული, რომელიც 21 წლით უსწრებს წინ ჩიჯავაძის მიერ შედგენილ საგალობელთა კრებულებს. მასში დაცულია ნათლისმცემლის მონასტრის<sup>1</sup> სამგალობლო ტრადიციაზე აღზრდილი სრული მგალობლის, სოფრონ არქიმანდრიტისაგან (ერისთავი) ჩაწერილი, აქამდე უცნობი საგალობლები. ეს ჰიმნები ანთოლოგიის წინამდებარე ტომში პირველად ქვეყნდება.

გარეჯის მრავალმთის სამგალობლო ტრადიციის არსებობის შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობის არსებობის მიუხედავად, ეს სამონასტრო ტრადიცია დღემდე დაკარგულ სამგალობლო სკოლათა შორის მოიხსენიებოდა. ანდრია მრევლიშვილის ხელნაწერის გამომჟღავნებამ მოგვცა საშუალება, გავცნობოდით და შეგვესწავლა აქამდე უცნობი ეს დავით-გარეჯული, ნათლისმცემლის მონასტრის მუსიკალური მემკვიდრეობა.

მრევლიშვილის ხელნაწერი აღმოჩნდა მოსკოვის გლინკას სახელობის მუსიკის მუზეუმში, გროზდოვის ფონდში (ГЦММК КП-9334/13 - Ф-370-437).<sup>2</sup> იგი შედგენილია ქუთაისის პირველდანიეზიტის სასწავლებლის ზედამხედველისა და პედაგოგის ანდრია მრევლიშვილის მიერ 1842 წელს, ხოლო საგალობლები გადმოცემულია ცნობილი სრული მგალობლის, ძველი ქართული გალობის ცოდნით განთქმული სოფრონ არქიმანდრიტისაგან.

<sup>1</sup> იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი შედის დავით-გარეჯის სამონასტრო სავანეში, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში და წარმოადგენს კლდეში გამოკვეთილ ერთიან კომპლექსს. დაარსებულია VI-VII საუკუნეებში დავით გარეჯელის მონაფის ლუკიანეს მიერ.

<sup>2</sup> კრებულის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია ჩემამდე სხვა მკვლევრებსაც ჰქონდათ, მათ შორის მაგდა სუხიაშვილს. მის მიერ რუსეთში გამოქვეყნებულ სტატიაში მოხსენიებულია ანდრია მრევლიშვილის კრებულის ადგილსამყოფელი (Сухиашвили, 2017:537). მან 2019 წლის მაისში ქართულ საზოგადოებას პრეზენტაციით აცნობა ხელნაწერის მიკვლევის შესახებ. მე 2019 წლის აპრილიდან მივიღე ხელნაწერის ციფრულ ასლებზე წვდომა და პირველი ვრცელი მოხსენება საზოგადოებას 2019 წლის მაისში გავაცანი, გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლეს სასწავლებელში გამართულ, პროფესორ მანანა ანდრიაძისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე. მრევლიშვილის ხელნაწერის შესწავლას მიეძღვნა ჩემი სამაგისტრო ნაშრომიც, რომელიც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში დავიცავი 2021 წელს.

ქართული გალობის არაერთი მკვლევარი იხსენიებდა მრევლიშვილის ხელნაწერს, როგორც დაკარგულს: „მუსიკალური ნიჭით ყოველმხრივ აღჭურვილმა ანდრია მრევლიშვილმა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართულ სიმღერა-საგალობლებს, რომლებიც ნელ-ნელა უფერულდებოდნენ და თანდათან მივიწყებას ეძლეოდნენ... ანდრია მრევლიშვილს დაუწყია ქართული სიმღერა-საგალობლების ნოტებზე გადაღება... სამწუხაროდ, [მისი] ნოტების ბედი გამოურკვეველია. მათი აღმოჩენა კი დიდ სამსახურს გაუწევდა ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას, მის ისტორიას.“. (ცამციშვილი, 1955:3).

წყაროების (ცამციშვილი, 1955:3; მშველიძე, 1976:264) თანახმად, ანდრია მრევლიშვილი დაიბადა 1823 წელს თელავის რაიონის სოფელ იყალთოში. მისი მამა — მაცაშვილების კარის მოძღვარი, მთელს კახეთში ცნობილი იყო თავისი მომაჯადოებელი საგალობლებით, სუფრული შემოძახილებითა და ჰარმონიული სიმღერებით. 1843 წლის 28 აგვისტოს ანდრია მრევლიშვილმა წარმატებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიის სრული კურსი და გაიგზავნა თელავის სასულიერო სასწავლებლის პირველი კლასის მასწავლებლად. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის, დუშეთის, ახალსოფლის, რაჭის სასწავლებლებში. საბოლოოდ, 1857 წელს დაინიშნა ქუთაისის პირველდარსებითი სასწავლებლის ზედამხედველად, სადაც სხვადასხვა საგნებთან ერთად გულმოდგინედ ასწავლიდა ქართულ საეკლესიო გალობას. ოთხმოცისწიანი წლებიდან ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში მოსწავლეთა ორი დიდი გუნდი არსებობდა: საერო, რომელსაც ხელმძღვანელობდა რუსი კომპოზიტორი ქრისტოფერ გროზდოვი<sup>3</sup> და სასულიერო, რომლის რეგენტიც ანდრია მრევლიშვილი იყო. სასულიერო გუნდის ძირითად რეპერტუარს არაქართული ნიმუშები შეადგენდა, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ანდრია მრევლიშვილი სასწავლო პროგრამის გარდა მოწაფეებს ქართულ გალობასაც შეასწავლიდა.

როგორც აღვნიშნეთ, ანდრია მრევლიშვილმა საგალობლები ძველი კახური გალობის გამორჩეული მცოდნისგან, ნათლისმცემლის მონასტერში აღზრდილი, სოფრონ არქიმანდრიტისაგან ჩაიწერა. მისი „კილოს“/სამგალობლო ტრადიციის ერთი საგალობელი — ბ (II) ხმის „წმიდაო ღმერთო“ სხვადასხვა (კარბელაშვილთა, არაყიშვილის, ფალიაშვილის) კრებულში ხაზგასმულად სოფრონისეულის სახელით არის შესული. პოლიევეტოს კარბელაშვილი სოფრონის „კილოს“/ტრადიციის რაობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვანვდის: „მისი გალობა დღევანდელი ქართლ-კახური გალობავეა, მხოლოდ სოფრონს სხვა ხმათა [იხოსებს] შორის მოსწონებია მეორე ხმა და მრავალნი საგალობელნი ამ მეორე ხმაზედ მოუმართავს...“ (კარბელაშვილი, 1898:80).

არქიმანდრიტი სოფრონი (ერისკაცობაში სარიდან ბეჟანის ძე ერისთავი) 1783 წელს, კახეთში დიდი თავადების — ერისთავების ოჯახში დაიბადა. იგი იყო პოეტ რაფიელ ერისთავის პაპის ძმა. მცირე ასაკში სარიდანი განათლების მისაღებად

<sup>3</sup> რუსი კომპოზიტორი. დაიბადა 1856 წელს. დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია. ქრ. გროზდოვმა 1880 წელს ქუთაისის გიმნაზიაში პედაგოგად დაიწყო მუშაობა. მან ცოლად შეირთო ანდრია მრევლიშვილის ქალიშვილი.

გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში მიაბარეს,<sup>4</sup> სადაც 1794 წლიდან, შემდგომში წმინდანად შერაცხული ექვთიმე მჭედლიშვილის მეთვალყურეობით იზრდებოდა. 1802 წელს ცნობილმა სრულმა<sup>5</sup> მაგალობელმა, არქიმანდრიტმა გერონტი სოლოლაშვილმა<sup>6</sup> სოფრონის სახელით ბერად აღკვეცა. 1805 წელს მღვდელთმთავარმა სტეფანე ჯორჯაძემ დიაკვნად აკურთხა. ხოლო 1811 წლიდან მოყოლებული, სხვადასხვა დროს არქიმანდრიტი სოფრონი წინამძღვრობდა და მოღვაწეობდა ქვათახევის, თირის, შიომღვიმის, ნათლისმცემლის, შუამთის, თბილისის ფერისცვალების და ბოდბის მონასტრებში (მაჩურიშვილი, ტოგონიძე, 2013:18).

სად და როდის მოხდა არქიმანდრიტ სოფრონის და ანდრიას დაახლოება, ამაზე პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება. თუმცა, ანდრია მრევლიშვილის ქალიშვილის ა. გროზდოვას ცნობაში, სადაც იგი ხელნაწერის შექმნის ისტორიას გადმოგვცემს, მნიშვნელოვან ინფორმაციას ვხვდებით: „შუამთის მონასტრის ყოფილ წინამძღვარს სოფრონ არქიმანდრიტს 1841 წელს შეუმჩნევია ახალგაზრდა ანდრიასათვის, რომ შეეძლო სამგალობლების ნოტებზე ჩანერა და უთქვამს: „ჩვენი საეკლესიო გალობა განადგურების პირასაა, სიახლის გზას ადგას და ნელ-ნელა მახინჯდება. ჩაიწერე, სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიანი, სანამ ცოცხლები ვართ, ჩვენ მოხუცები, კარგად მცოდნენი ჩვენი ძველი საეკლესიო გალობისა, რომელიც გადმოგვეცა ჩვენი პაპებისაგან“ (ჩხეიძე, 1997:19). ამ დროს ანდრია მრევლიშვილი 18 წლის იყო და სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. სწორედ ამავე პერიოდში, 1837—1842 წლებში არქიმანდრიტი სოფრონი თბილისის ფერისცვალების მონასტერში იმყოფებოდა, საეკლესიო სასჯელს იხდიდა.<sup>7</sup>

<sup>4</sup> არსებობს ცნობა, რომლის მიხედვით სოფრონ არქიმანდრიტს ნათლისმცემლის მონასტრის გარდა განათლება ასევე გელათის მონასტერშიც ჰქონდა მიღებული (ზარაფიშვილი, 1895). აღნიშნული ინფორმაციის დასტურს ისტორიულ წყაროებში ვერ მივაკვლიეთ. ამ ცნობაში შესაძლოა ირიბად იგულისხმებოდეს დასავლურ სამგალობლო ტრადიციასთან სოფრონ არქიმანდრიტის ზიარების შესაძლებლობა გარეჯის მონასტრის ფარგლებში. როდესაც სოფრონი აღსაზრდელად ნათლისმცემლის მონასტერში მიაბარეს, იქ სხვა ბერებთან ერთად დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციებზე აღზრდილი სრული მაგალობლებიც მოღვაწეობდნენ, რომელთა დახმარებით სოფრონს შეეძლო მათ სამგალობლო ტრადიციებს გასცნობოდა.

<sup>5</sup> სრული მაგალობელი — წოდება შუა საუკუნეთა საქართველოში ისეთი პროფესიონალი მაგაობელ-მომღერლებისა და ლოტბარებისა, რომელთაც ზეპირად იცოდნენ მთელი წლის სამგალობლო რეპერტუარი და იცოდნენ მუსიკის წერილობითი დაფიქსირების ძველი ქართული სისტემები. სრული მაგაობლები მუსიკალური აღზრდის სისტემის, სამგალობლო სკოლების, მუსიკალური მემკვიდრეობის შენარჩუნება-გავრცელების პროცესისათვის მნიშვნელოვან, უმთავრეს პირებს წარმოადგენდნენ, განსაკუთრებით გვიან შუა საუკუნეებში.

<sup>6</sup> არქიმანდრიტი გერონტი (სოლოლაშვილი) (1757-1813) - აღიზარდა ნათლისმცემლის მონასტერში. 1811 წელს დავით გარეჯის მონასტერში გახსნა სკოლა, სადაც მსურველებს ასწავლიდა მწერალ-მწიგნობრობას და გალობას. ის ფლობდა სამგალობლო სტილს, რომელიც ისტორიულ წყაროებში „გერონტის კილოს“ [ტრადიციის] სახელით მოიხსენიება (კარბელაშვილი, 1898:80; კარბელაშვილი, 1897:III).

<sup>7</sup> არქიმანდრიტი სოფრონი 1827 წლიდან მოყოლებული შუამთის მამათა მონასტრის წინამძღვარი იყო. გარდა ამისა იგი კახეთის მონასტრების ფინანსებსაც განაგებდა. შემორჩენილია 1832 წლის სინოდალური კანტორისადმი მიწერილი მისი წერილი, სადაც ის ითხოვს ამ პასუხისმგებლობიდან განთავისუფლებას და მშვიდი ბერული ცხოვრების დაბრუნებას (სეა. ფ. 488, აღ.1, ნ.2, საქ. 2928). როგორც ჩანს, მისი თხოვნა არ დააკმაყოფილეს და, საბოლოოდ, 1837 წელს მან თვითნებურად დატოვა შუამთის მონასტერი და ნათლისმცემლის მონასტერში გადავიდა. იგი მალევე დააკავეს და ხუთი წელი თბილისის ფერისცვალების მონასტერში მიუსაჯეს ყოფნა (მაჩურიშვილი, ტოგონიძე, 2013:18).

არქიმანდრიტმა სოფრონმა ამ მონასტერში მოსწავლეები გაიჩინა, რომელთაც გალობასა და ტიპიკონს ასწავლიდა. როგორც ჩანს, ანდრიაც მის მოწაფეთა რიგებში ყოფილა და ასე მომხდარა მათი დაახლოება. ამ მოსაზრებას ამყარებს თავად მრევლიშვილის სტატია (მრევლიშვილი, 1878), რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ „დროებაში“, 1878 წლის თებერვლის ნომერში. სტატიაში ანდრია მრევლიშვილი მოგვითხრობს, რომ მან საგალობლები ტარასი არქიმანდრიტის<sup>8</sup> თხოვნით ჩაწერა. აღმოჩნდა, რომ სწორედ ამ პერიოდში ტარასი მესხიშვილიც ამავე მონასტერში იმყოფებოდა და 1832 წლის აჯანყებასთან შესაძლო კავშირის მიზეზით იხდიდა სასჯელს (მაჩურიშვილი, ტოგონიძე, 2012:78).

კრებულზე მუშაობის დასრულების შემდეგ, ანდრიას ხელნაწერი ეგზარხოს ისიდორესთვის<sup>9</sup> (1844—1858) წარუდგენია. მართალია ეგზარქოსს ნაშრომი მოუწონებია, თუმცა, მისი სასწავლებელში გამოყენების უფლება მაინც არ მიუცია, რადგან სასულიერო სასწავლებლებში ქართული გალობა ჯერ კიდევ არ ყოფილა ამ დროისათვის დაშვებული (ცამციშვილი, 1955:3).

მრევლიშვილის ცნობით (მრევლიშვილი, 1878), მას 1877 წელს სემინარიის გალობის მასწავლებელმა, მიხეილ მაჭავარიანმა შემდგომი დაბეჭდვის მიზნით გამოართვა კრებული სემინარიის სამართველოში წარსადგენად. თუმცა, როგორც ირკვევა, განიხილვის შემდეგ კომისიამ ნაშრომი დაინუნა. დანუნების მთავარი მიზეზი საგალობლებში ჩართული, მათი შეფასებით, „უშინაარსო“ მარცვლების სიჭარბე აღმოჩნდა.<sup>10</sup> ხელნაწერი უკან დაუბრუნდა პატრონს (მრევლიშვილი, 1878).

მართლაც, მრევლიშვილის ხელნაწერში მრავლად გვხვდება ჩართული ფონემები. ეს სამგალობლო დეტალი აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის ამსახველ კრებულებში იშვიათად გვხვდება, რაც კიდევ უფრო ზრდის ხელნაწერის სამეცნიერო ღირებულებას. ანდრია მრევლიშვილის ქალიშვილის ცნობით, ანდრია ჩანანერებს მთელი სიზუსტით აკეთებდა, ტექსტში არ გამოუტოვებია ის დამატებით მარცვლები, რომლებიც ძველ დროში სიტყვაში, გაგრძელებულ ხმოვნებთან თავსდებოდა, ხოლო თანამედროვე „განათლებული“ მგალობლების მიერ პრაქტიკიდან განიდევნა, როგორც შორეული წარსულის კურიოზი“ (ჩხეიძე, 1997:19). არსებობს ცნობა, რომლის მიხედვით, ანდრია მრევლიშვილი დიდად აფასებდა თავის ხელნაწერს,

<sup>8</sup> არქიმანდრიტი ტარასი (მესხიშვილი) - სრული მგალობელი.

<sup>9</sup> ეგზარქოსმა ისიდორე ნიკოლსკიმ მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, შედარებით კარგი სახელი დატოვა საქართველოში. სინამდვილეში კი, ისიდორეც ებრძოდა ყოველივე ქართულს. „ეკლესიათა სისუფთავის“ მიზნით ათეთრებდა და ანადგურებდა ფრესკებს. მან საღებავით დააფარინა სვეტიცხოვლის, ალავერდის, გრემისა და სხვა ტაძრების დიდებული ფრესკები (ნიჩიპეროვიჩი, 2020:85).

<sup>10</sup> XIX საუკუნეში არსებობდა ტენდენცია, რომლის მიხედვით საგალობლებში ჩართული ფონემები ძველი დროის გადმონაშთად და გალობის უცოდინრობად ითვლებოდა (ლ. ივერიელი:1878). მიუხედავად ამისა, ქართული გალობის შემცველმა ზოგიერთმა ხელნაწერმა, მაინც შემოგვინახა აღნიშნული საშემსრულებლო ელემენტი, რომელთა შორის მრევლიშვილის ხელნაწერი უძველესია.

რადგან [თვლიდა, რომ] საგალობლებში პირველწყაროს დეტალები წმინდად იყო დაცული.<sup>11</sup>

1899 წელს, ანდრია მრევლიშვილის გარდაცვალების შემდეგ, აღნიშნული ხელნაწერი მისი სიძის — ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მასწავლებლის ბ. ქრისტეფორე ნ. გროზდოვის ოჯახში დარჩა. გროზდომმა, ეს ხელნაწერი თბილისის სამუსიკო სასწავლებლების დირექტორს, კომპოზიტორ კლენოვსკის გადასცა რედაქტირებისათვის, შემდგომი გამოცემის მიზნით. კლენოვსკის ქართული გალობის ნოტებზე გადატანა და გაოთხხმისაღება ადრეც ჰქონდა ნაცადი.<sup>12</sup> საბოლოოდ კლენოვსკიმ ანდრია მრევლიშვილის კრებულის საფუძველზე გამოსცა, მის მიერ შერეული გუნდისათვის გადაკეთებული და დამუშავებული საგალობლების ლიტურგიის კრებული, ქართულ და რუსულ ენებზე.

კლენოვსკის კრებული 1902 წელს დაიბეჭდა მოსკოვში, რასაც ქართული საზოგადოების მხრიდან კრიტიკული რეაქცია მოჰყვა. უარყოფითი შეფასება უმთავრესად, საგალობლების ორიგინალური ქართული ჟღერადობის დაკარგვით იყო გამოწვეული.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, ათასობით საგალობელი ჩაინერა ნოტებზე, ნაწილი — გამოიცა, თუმცა, ინტერესი ანდრია მრევლიშვილის კრებულისადმი, როგორც ნათლისმცემლის მონასტრის დაკარგული სამგალობლო ტრადიციის ამსახველი ხელნაწერისადმი, არ განელებულა.

### ხელნაწერის აღწერილობა

ანდრია მრევლიშვილის ხელნაწერი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში წარმოდგენილია „ნოტის ანბანი“ და განმარტებები, ხოლო მეორეში — იოანე ოქროპირის წირვის საგალობლები. კრებულის 35 გვერდიდან, 30 უშუალოდ საგალობლებს ეთმობა, 4 გვერდი ნოტის ანბანს და განმარტებებს, 1 გვერდი კი — თავფურცელს.

კრებულის თავფურცელზე ვკითხულობთ: „ჟამი წირვისა, ქართულს კილოზედ [ქართული მუსიკით], სამ ხმად, შედგენილი, ნოტზედ, მღვდლის გიორგის ძის ანდრია მრევლოვისა მიერ, დამატებით ნოტის ანბანისა და ნიშანთა მათთან კუთნილთა, მოკლე განმარტებით“. თავფურცელის ბოლოს კრებულს შედგენის თარიღად მინერილი აქვს 1852 წელი, თუმცა ეს მინაწერი განსხვავებული ფერის (შავი) მელნით და ოდნავ განსხვავებული კალიგრაფიით არის შესრულებული. საგულისხმოა, რომ ხელნაწერში

<sup>11</sup> «Он очень дорожил этой записью и считал ее не просто ценным этнографическим материалом, а «единственным в своем роде памятником подлинного, не испорченного посторонними влияниями, грузинского церковного пения» (Кленовский, 1902:3).

<sup>12</sup> იგი 1895 წელს იმყოფებოდა ქალაქ თელავში, სადაც სრული მგალობლის — მღვდელი იოსებ ჩიკვაიძისაგან ნოტებზე ჩაინერა საგალობლები, თუმცა პეტერბურგისკენ მიმავალს დასაბეჭდად გამზადებული სანოტო მასალა ბარგთან ერთად დაუკარგავს.

საგალობლების გარკვეული ნაწილი ასეთივე შავი ფერის მელნით არის გადაკეთებული/„შესწორებული“.<sup>13</sup> ამავე ფერის მელნით საგალობლებს მთელს კრებულში (ძირითადად მეორე და მესამე ხმებს შორის) ქართული ტექსტი რუსული ასოებით აქვს მიწერილი. ვფიქრობთ, თავფურცელზე მოცემული თარიღი საგალობლების ჩანერის დროს არ მიუთითებს და იგი შემდგომ, კრებულის შედგენის, ან ხელნაწერის „რედაქტირებისას“ გაჩნდა. ასევე არ არის გამორიცხული, რომ გვიანდელი თარიღი ხელნაწერის ეგზარქოსთან წარდგენის დროს იყოს დასმული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრევლიშვილმა ხელნაწერი წარუდგინა ეგზარქოს ისიდორეს, რომელიც საქართველოში 1844—1858 წლებში იმყოფებოდა. ჩვენთვის ცნობილი ყველა წყარო კი მიუთითებს, რომ ხელნაწერში არსებული საგალობლები ჩანერილია 1840-ანი წლების დასაწყისში. ანდრია მრევლიშვილის ქალიშვილის ზემოთ მოყვანილ ცნობაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩამწერი და გადამცემი ხელნაწერზე მუშაობას 1841 წელს შეუდგნენ და 1842 წელს დაასრულეს. არქიმანდრიტი სოფრონი 1842 წლიდან ნათლისმცემლის მონასტერში გადაიყვანეს, ხოლო ანდრიამ სემინარია 1843 წელს დაამთავრა. ამის გამო, მათ ერთად მუშაობა 1842 წლის შემდეგ გაუჭირდებოდათ. ხელნაწერის მუსიკალურ ტექსტში გარდა შავი მელნისა, ასევე ვხვდებით „შესწორებებს“ ყავისფერი და შავი ფანქრით.

როგორც აღინიშნა, ხელნაწერის თავფურცელის მომდევნო ოთხი გვერდი დათმობილი აქვს სასწავლო დანიშნულების თეორიულ ნაწილს. ამ პერიოდში საქართველოში სანოტო სისტემის ცოდნა მასიურად ჯერ არ იყო გავრცელებული, რის გამოც, ანდრიამ წირვის საგალობლებს წინ დაურთო სანოტო სისტემის განმარტება. აქ მას საკუთარი ინტერპრეტაციით აქვს განმარტებული ნოტის ანბანი დამწყები მგალობლებისთვის. იგი საკმაოდ ორიგინალურად და მარტივად ხსნის სანოტო სისტემის კანონზომიერებებს და არაერთ საინტერესო ქართულ ტერმინს გვთავაზობს.

ხელნაწერში განმარტებულია ბანის და ალტის გასაღებში ნოტების განლაგება, გრძლიობები, დინამიკური ნიუანსები, პაუზები, ლიგა, ფერმატა, ალტერაციის ნიშნები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ხელნაწერში დიდი ყურადღება ექცევა საშემსრულებლო-გამომსახველობით მხარეს. საგალობლებში უხვად ვხვდებით დინამიკურ ნიშნებს, რაც ფ. ქორიძისეულ ჩანაწერებთან ერთად, მიგვითითებს ძველ საქართველოში გალობის საშემსრულებლო ესთეტიკის (სადღეისოდ ხშირად უგულებელყოფილ) თავისუბურებებზე, მუსიკალური დინამიკის და ექსპრესიულობის მნიშვნელობაზე საშემსრულებლო პროცესში.

ხელნაწერში მოცემულ დინამიკურ ნიშნებზე დაყრდნობით, იკვეთება, რომ ხშირად საგალობლის მუხლები იწყება წყნარად, შემდეგ ძლიერდება და საბოლოოდ ისევ მშვიდად სრულდება. საგალობლის დინამიკასთან და ექსპრესიასთან დაკავშირებით,

<sup>13</sup> ეს მოგვიანო გადაკეთება-შესწორებანი, ხშირ შემთხვევაში, ქართული გალობის ენობრივ და ესთეტიკურ კანონზომიერებებთან შეუსაბამო და გაუგებარია.

მსგავს მითითებას ვხვდებით ვასილ კარბელაშვილის „მწუხრი“-ს წინასიტყვაობაში, სადაც ავტორი ქართლ-კახური გალობის შესრულების წესზე საუბრისას განმარტავს: „თვითოეული მუხლი უნდა დაიწყებოდეს ხოლმე ჩუმად და წყნარად, შუაში განძლიერდებოდეს და ბოლოსთან ისევ ჩუმად გათავდებოდეს; სულ ბოლო — კი ძიმიედ [ნელა] და დინჯად უნდა გათავდებოდეს“ (კარბელაშვილი, 1897:IX).

მრევლიშვილის ხელნაწერში მგალობელთა ხმების სახელები ასე ნაწილდება: „მოძახილი პირველი“, „მოძახილი მეორე“ და „ბანი“. საგალობლების პარტიები ჩანერილია ალტის და ბანის გასაღებში, მეტრული დაჯგუფებით 4/4.<sup>14</sup>

კრებული აერთიანებს იოანე ოქროპირის ლიტურგიის თითქმის ყველა საგალობელს, არ შეიცავს ანტიფონებს („აკურთხევს სული ჩემი“, „მხოლოდ-შობილი“, „ნეტარებები“) და საგალობელს „ხორცი ქრისტესი“. სამოციქულოს წარდგომებიდან კრებულში შესულია მხოლოდ პირველი ხმის წარდგომა. ასევე „ალილუიაც“ ერთი ნიმუშით არის წარმოდგენილი და ხმის მითითების გარეშეა მოცემული.

კრებულში (ჰიმნში „წმიდაო ღმერთო“ და „მამასა და ძესა“-დან ბოლომდე) ფიქსირდება საგალობლების სამზე მეტ-ხმიანი შემადგენლობისთვის არანაყოფიერება-გადაკეთების კვალი. ვხვდებით ადგილებს, სადაც გადაშლილია ნოტები და ზემოდან აქვს გადაწერილი სხვა მოძრაობები. ამ მიზეზით ხელნაწერის ძველი, პირველადი ვარიანტების ამოკითხვა ზოგიერთ საგალობელში საკმაოდ რთულია, თუმცა, საბოლოოდ, მაინც შესაძლებელია.

სავარაუდოდ, ეს ცვლილებები თავად ანდრია მრევლიშვილის მიერაა შეტანილი მოგვიანებით და საგალობლების ოთხხმიანი (შესაძლოა, შერეული) გუნდისათვის გადამუშავების წარუმატებელ მცდელობას წარმოადგენს. მრევლიშვილის ხელნაწერის კლენოვსკის მიერ დამუშავებულ საგალობლებთან შედარებამ აჩვენა, რომ ხსენებული ცვლილებები კლენოვსკის ნახელავი არ უნდა იყოს. თანამედროვეთა აღნიშვნით, ანდრია მრევლიშვილი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ქართული საგალობლების ოთხ ხმიანი გუნდისათვის არანაყოფიერება სცადა.

ხელნაწერში ყურადღებას იქცევს საგალობლების ტექსტში უხვად ჩართული დამატებითი მარცვლები: *ა, ი, ე, უ, ვი, აქა, ქი*. ამ მოვლენას ვხვდებით თითქმის ყველა საგალობელში, გარდა კვერექსებისა და ზოგიერთი რეჩიტატიული ნიმუშისა. ჩართული ფონემების მხრივ ყველაზე დატვირთულია „რომელნი ქერუბიმთა“, „და ვითარცა“, „წმიდა არს, წმიდა არს“, „შენ გიგალობთ“, კვირის „განიცადე“... არის საგალობლები, სადაც ფონემები ჩართულია უშუალოდ სიტყვებში და ერთვის გამღერებულ ხმოვნებს (*აია, ოიო, ეიე, უიუ*). ასევე გვხვდება ჰიმნები, სადაც ფონემებზე მთლიანი მუხლებია აგებული (*აქაია, აუვი*). ეს დამატებითი ფონემები „კარბელაანთ“ ტრადიციის საგალობლებში იშვიათობას წარმოადგენს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს სხვა სამგალობლო ტრადიციის შემცველ წყაროებში შედარებით ხშირად გვხვდება. ამ

<sup>14</sup> როგორც სხვა სამგალობლო ტრადიციების შემთხვევაში, სოფრონ არქიმანდრიტისეულ-მრევლიშვილისეულ საგალობლებშიც, ეს მეტრული დაყოფა პირობითია, არ შეესაბამება მუსიკალური ფრაზირების, დენადობის ბუნებას და, ამდენად, წინამდებარე პუბლიკაციაში უგულებელყოფილია.



მოვლენას უფრო ხშირად დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის, განსაკუთრებით, „შემოქმედის სკოლის“ ამსახველ სანოტო თუ აუდიო წყაროებში ვხედავთ.

საინტერესოა სოფრონისეული/მრევლიშვილისეული საგალობელი „რომელნი ქერუბიმთა“, რომელსაც უშუალოდ ებმის საგალობელი „და ვითარცა“. ცნობილია, რომ „რომელნი ქერუბიმთა“ და „და ვითარცა“ ერთი საგალობელია და ძველად ერთად სრულდებოდა. შესაბამისად, ხელნაწერში შესრულების ძველი ტრადიციაა ასახული (ანთოლოგიის I, III, IV, XVIII და წინამდებარე ტომებში მსგავსი შემთხვევები სხვა იმავსახელიან ჰიმნებშიც გვხვდება). ასევე ძველი საშემსრულებლო ტრადიციის სიცოცხლის უნარიანობის მაჩვენებელი უნდა იყოს სოფრონისეული საგალობელი „გრძელი უფალო შეგინყალენ“, რომელსაც ხელნაწერში დამატებული აქვს სიტყვა „ჩვენ“: „უფალო შეგინყალენ ჩვენ“ (მსგავსი შემთხვევა ანთოლოგიის II ტომში, კარბელაშვილისეულ კვერექსებშიც ფიქსირდება).

### მუსიკალური ენა

მრევლიშვილის მიერ ნოტირებულ საგალობელთა უმრავლესობაში სამგალობლო ჰანგები საერთო ესთეტიკური, სტილური და ინტონაციური ბუნების არიან, თუმცა, ცხადია, მელოდიურ-კონტურულად მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან. ამ წყაროში გვხვდება მელოდია-მოდელიები, რომლებიც სხვა სამგალობლო ტრადიციათა ამსახველ სანოტო წყაროებში არაა.

მრევლიშვილის ხელნაწერში საგალობლების ჰარმონია და ფაქტურა ზოგად-ქართული სამგალობლო სტილის შესაბამისია. ამასთან, აქ იკვეთება მხოლოდ ამ კრებულისთვის დამახასიათებელი შემთხვევებიც. უპირველესად ესაა ჰიმნის/მუხლის საწყის თანხმომავანებად კვარტსექსტაკორდის გამოყენება, ასევე, საგალობლების დიდი ტერციით დაწყება. სოფრონ არქიმანდრიტისეული სამგალობლო ტრადიციის ჰარმონიული ინდივიდუალობის, განსხვავებულობის მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ ხშირი რეჩიტაცია (წართქმა, ავაჯი) კვინტსექსტაკორდისა და კვარტსექსტაკორდის თანხმომავანებით, ასევე დიდი ტერციით. ეს სხვა ქართულ სამგალობლო ტრადიციათა ჰიმნებისათვის დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

სხვა სამგალობლო ტრადიციებისათვის ტიპური საკადანსო ნაგებობების გვერდით, მრევლიშვილის ხელნაწერში თავს იჩენს ორიგინალური, მხოლოდ ამ ხელნაწერისთვის დამახასიათებელი კადანსები. საკადანსო ბრუნვებში ხმათა შეწყობის მხრივ, სოფრონისეული საგალობლების ერთ-ერთ სტილურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ მუხლის კვინტსექსტაკორდზე ხშირი დაბოლოვება (ეს მოვლენა სხვა ტრადიციების ჰიმნებშიც გვხვდება, მაგრამ, არა ისე ხშირად, როგორც აქ). სტილურ მახასიათებელს წარმოადგენს ასევე ხმათა შეკავება საკადანსო ნაგებობაში, რომელიც ხელნაწერში სამი სახით არის წარმოდგენილი: სექსტა წმინდა კვინტაში, კვინტსექსტაკორდი წმინდა კვინტაში, კვარტკვინტაკორდი წმინდა კვინტაში. სოფრონისეულ ჰიმნთა სტილურ

მასასიათებელს წარმოადგენს ასევე საკადანსო ბრუნვაში მოძახილის შეერთება მთქმელთან, რაც მრევლიშვილის ხელნაწერში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, კვინტაზე დაბოლოვებულ ყველა საკადანსო ბრუნვაში გვხვდება (სხვა სამგალობლო ტრადიციებში ამ სახის კადანებზე განუზომლად ხშირია II—III ხმების უნისონური შერწყმა). მთლიანობაში, მრევლიშვილის ხელნაწერში იკვეთება ორიგინალური, სახასიათო საკადანსო-მელოდიური ნაგებობები, რომლებიც „ლაიტმოტივივით“ გასდევს მთელ წირვის წესს და ერთგვარ სტილურ მოვლენად გვევლინება.

მრევლიშვილის მიერ ნოტირებულ ჰიმნებში ტრადიციული სამგალობლო ფაქტურულ-პოლიფონიური აზროვნებაა. სოფრონისეულ საგალობელთა ფაქტურა, ერთი მხრივ ხმათა „სადა“, მარტივი სტილის შესაბამისი კოორდინირებით — ზედა ორი ხმის უპირატესად ახლო, ტერციული განლაგებით გამოირჩევა, მეორე მხრივ კი, აქ ვხვდებით, როგორც „გამშვენებული“ კარბელაშვილისეული სტილის მსგავს მელიზმატიკურ, მიკრომოტივურ და მელოდიურ სამშვენისებს მეორე ხმაში, ისე, დასავლეთ საქართველოს „გამშვენებული“ ჰიმნებისათვის ნიშანდობლივ, მელოდიურ-პოლიფონიურად გააქტიურებულ და განვითარებულ მოძრაობას ბანში. ზედა ხმებთან შებანების პროცესში ბანის ხმის ასეთი თავისუფალი გააზრებისას, წმინდა ინტერვალებს ზოგჯერ დისონირებული ინტერვალებიანაცვლებს, გვხვდება ფართო თანაჟღერადობები და იზრდება ფაქტურის ვერტიკალური პარამეტრი.

ამის გარდა, ნათლისმცემლის მონასტრის სკოლის სოფრონისეულ ჰიმნთა ორიგინალურ სტილურ მოვლენებს შორის უნდა აღინიშნოს: საგალობელში სამივე ხმის პარალელური მოძრაობა კვარტსექსტაკორდით, რაც სხვა სამგალობლო ტრადიციებში არ გვხვდება; საგალობლის მუხლებში ზედა ორი ხმის უნისონური მოძრაობა, რა დროსაც წარმოიქმნება ორ ხმიანი მონაკვეთები; სექსტოქტაკორდების, კვარტსექსტაკორდებისა და კვინტსექსტაკორდების ხშირი, უპირატესი გამოყენება (რაც, ვფიქრობთ, შეიძლება სოფრონისეული/მრევლიშვილისეული გალობის ლაიტჰარმონიადაც კი განვიხილოთ).

მთლიანობაში, მრევლიშვილის ნოტირებული სოფრონ არქიმანდრიტისეული საგალობლების ეს ინდივიდუალური სტილური ნიშნები (მელოდია-მოდელების, ჰარმონიისა და ფაქტურის თავისებურებები), უდავოდ, ორიგინალურ და ერთ-ერთ უძველეს ქართულ — ნათლისმცემლის მონასტრის სამგალობლო ტრადიციას ასახავს. ამ ტრადიციის გადამრჩენთა და შემომნახველთა — სოფრონ ერისთავისა და ანდრია მრევლიშვილის სახელები კი, მაღლიერებითა და საკადრისი პატივით უნდა იხსენიებოდეს ჩვენი სასულიერო მუსიკის მოამაგეთა — ფილიმონ ქორიძის, ძმები კარბელაშვილების, ექვთიმე კერესელიძის, რაჟდენ ხუნდაძის, მიხეილ იპოლიტივანოვის, ზაქარია ფალიაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, დავით ჩიჯავაძის, მიხეილ ელიზბარაშვილის, დავით მოლოდინაშვილის, არტემ ერქომაიშვილის, კახი როსებაშვილის, ანზორ ერქომაიშვილისა და სხვათა დიდი სახელების გვერდით.

გოჩა ბიძინაშვილი

## გამოყენებული და დამონმებული არქივები, ხელნაწერები, ლიტერატურა და სანოტო კრებულები:

**ზარაფიშვილი ილია (1895).** *კახური სიმღერა-გალობანი და დირექტორი ტფილისის მუსიკალურ სასწავლებლისა ბ-ნი ნიკოლოზ სიმონის ძე კლენოვსკი.* გაზეთი „ივერია“; 1895 წ.; №135:2-3;

**კარბელაშვილი, ვასილ (სტეფანე) (1897).** *ქართლ-კახური გალობა „კარბელაშვილის კილოთი“, „მწუხრი“, ნოტებზე გადაღებული მღვდელი ვასილ კარბელაშვილის მიერ. პირველი ნაწილი.* ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა; 1897 წ.;

**კარბელაშვილი პოლიევქტოს (1898).** *ქართული საერო და სასულიერო კილოები.* თბილისი: სტამბა ექ. ივ. ხელაძისა; 1898 წ.;

**„ლ. ივერიელი“ (ფსევდონიმი) (1878).** *ქართულს გალობაზედ.* გაზეთი „ივერია“; 1878 წ.; №38:6-9;

**მაჩუროშვილი გიორგი, ტოგონიძე ლუარსაბ (2012).** *XVIII-XX საუკუნეებში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა.* თბილისი: პირველად იყო სიტყვა. 2012 წ.;

**ტოგონიძე ლუარსაბ, მაჩუროშვილი გიორგი (2013).** *არქიმანდრიტი სოფრონი 1783-1853.* ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2013 წ.; №10:18;

**მრევლიშვილი ანდრია (1842).** *ჟამი წირვისა, ქართულ კილოზედ [ქართული ტრადიციისა], სამ ხმად (ხელნაწერი).* მოსკოვის გლინკას სახელობის მუსიკის მუზეუმი; ГЦММК КП-9334/13 - Ф-370-437;

**მრევლიშვილი ანდრია (1878).** *წერილი რედაქტორთან.* გაზეთი „დროება“; 1878 წ., თებერვალი; №31:3;

**მშველიძე არჩილ (1976).** *საქართველოში მუსიკალური განათლების ისტორიის ნარკვევები.* თბილისი: ხელოვნება; 1976 წ.;

**ნიჩიპეროვიჩი ბორის (2020).** *რუსული საეკლესიო მმართველობა საქართველოში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში.* დისერტაცია. თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;

**საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 488. ანაწერი 1. წიგნი 2. საქმე 2928;**

**შულღიაშვილი დავით (2011).** *ოთარ ჩიჯავაძის ერთი ხელნაწერის შესახებ.* კრებულში: *ოთარ ჩიჯავაძე. რედ.: ნ. ზუმბაძე, ქ. მათიაშვილი, დ. შულღიაშვილი, ქ. ბაქრაძე, მ. კაჭკაჭიშვილი.* გვ.46-60. თბილისი: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია;

**ჩხეიძე თამარ (1997).** *საღვთო ლიტურგია ღვთისმსახურების ქართულ პრაქტიკაში (მუსიკალურ-ლიტურგიკული ასპექტი).* დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია;

**ცამციშვილი ამირან (1955).** *ანდრია მრევლიშვილი.* კრებულში: *სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები.* გვ.3-8. თბილისი: საქ. სსრ. განათლ. სამ., სახ. განათლ. სახელმწ. მუზეუმი;

**Кленовский, Николай Семёнович (1902).** *Песнопения на Литургии св. Иоанна Златоуста грузинского (кахетинского) распева.* Санкт-Петербург; 1902;

**Сушиашвили Магда (2017).** *Мревлишвили.* Православная энциклопедия. Стр.537. Москва; 2017.

## Introduction

(For volumes 28-29)

We return to the topic of chants for the liturgy in Anthology Volumes 28-29. Chants for the liturgies of John Chrysostom, Basil the Great, and the Presanctified Liturgy of the Eastern, as well as Western Georgian chant traditions are printed in Volumes 1-5 and 18-21 of the anthology. This material has been taken from 19th-20th century manuscripts or published collections devoted to the three liturgical services. Liturgical chants collated from various manuscripts belonging to Philimon Koridze, Ekvtime Kereselidze, and Razhden Khundadze, however, are printed in Volumes 28-29. There are individual collections of liturgical chants among these manuscripts, as well as collections of thematically diverse natures, with some liturgical chants being found scattered there, too. It must be noted that many of them are identical to works published in the previously mentioned collections, others however, are different, being unique from the standpoint of their melody, texture, and composition.

The rite of the Liturgy of John Chrysostom of the Eastern Georgian chant tradition (John the Baptist Monastery) published in the first section of this volume stands separately from this material and is especially worthy of attention and note. This heritage (54 hymns) is being published for the first time in the current anthology volume. The chants were notated by Andria Mrevlishvili in 1842 and transcribed from Archimandrite Sophron (Eristavi). These transcriptions represent the oldest surviving notated source of a liturgical service done 21 years before D. Chijavadze's transcriptions, and a few decades before the transcriptions by Koridze and the Karbelashvili brothers.

There is an in-depth conversation regarding these chants in Gocha Bidzinashvili's essay, the first person to find these chants and author of the first fundamental study concerning them, a young musicologist, and chanter/choirmaster. This essay is printed after the current introduction. Only one thing will be remarked upon - this unique material, on one hand, represents a separate musical, theological school, the tradition of John the Baptist Monastery - on the other hand, however, its aesthetic, musical form, linguistic thought fully corresponds to the Eastern Georgian, and generally the Georgian chant tradition. The diversity and richness of Georgian musical culture is once again represented by this heritage. It evokes gratitude for our ancestors and Divine providence, which despite countless historical hardships, have helped the Georgian musical treasury survive to the present day.

All the hymns for the Liturgy in R. Khundadze's manuscripts are being published in the second section of Volume 28 (165 hymns). There is a discussion on the aesthetic and style of chants notated by R. Khundadze in Anthology Volume 5. Here, it will be added the present volume once again shows Razhden Khundadze as an immense expert and honored patron of the Georgian chant tradition. He was one of the leading chanters in the group from whom P. Koridze transcribed chants. The material provided in R. Khundadze's manuscripts, however, from the standpoint of melodic diversity, further enriches the general picture of the Georgian chant tradition and makes it more complete. There are numerous chants not in the notated collections of Koridze and Kereselidze found in Khundadze's heritage. Apart from their melodic richness, there are also some hymns found in the Khundadze manuscripts that differ in terms of texture and harmony (for example, "Holy, Holy", #141-142). Moreover, there are many chants in the plain or ornamented style presented here that would have been forever lost if it had not been for R. Khundadze transcribing them (regarding this, it is enough to just recall the plain or ornamented variants of "Do Not Lament Me, Mother").

\* \* \*

We began including the chants shown in the Khundadze manuscripts in the anthology starting with Volume 18 - it is from this point that the editors have attempted in their own way to overcome one "problem" characteristic of chant manuscripts - the following fact, in particular (which has been spoken of in the introductions to Volumes 1-2 and elsewhere): in 19<sup>th</sup>-20<sup>th</sup> century manuscript collections or published scores there are numerous works of mutually different, as well as somewhat similar quality. Apart from the history and duration of notating chant, the reason for this resides in the nature of the services themselves - many hymns end up being repeated many times in various services. Therefore, when transcribing a service, those transmitting or notating the hymns were unable to avoid duplicating individual hymns or showing their discrepant variants.

While compiling the anthology, even the editors could not get away from this moment - if all the chants for liturgy of the Eastern Georgian chant tradition (those available at the time) were gathered and included in Volume 2-4 (this process took around 10 years), we published hymn collections systematized and unified by the transcribers themselves in other volumes - these are Volumes 1, 5-9, and 12-17. In Volumes 11-12 and 18-21, collections organized by theme, as well as individual chants scattered throughout various diverse collections were compiled. Most of the manuscript or published unified thematic,

systematized collections have been printed in these volumes. Later, when publishing the other collections, we ran into the previously mentioned circumstance - many hymns or micro-cycles for certain services or feast days were repeated numerous times in other notated collections. If the editors were to follow their preferred method of publishing all the notated collections in absolute sequential order, we would be unable to avoid the endless duplication of the material.

Therefore, beginning with Volume 22, we started working in a different way - we began classifying the material scattered about in various manuscripts and grouping it according to theme or liturgical function. All the Christmas hymns in the Koridze, Kereselidze, and Khundadze manuscripts or publications were included in Volume 22 - those for Holy Thursday are in Volume 23, Holy Friday is Volumes 24-25, and all the Western Georgian chants for Great Saturday are in Volumes 26-27.

Since the anthology not only has significance for academia and source studies, but also has practical importance, most of all, clearly in no case could we have avoided duplicating some hymns. For example, for comparison to Khundadze's liturgical chants in the current collection, we are also printing the voice leading of hymns in Khundadze's *The Liturgy* (Khundadze, 1911). In other words, we are showing the manuscript or already published (by the transcriber or by us) variants of chants with the same titles.<sup>1</sup> Clearly, when the entire number of chants is at long last clarified after finishing the anthology, such works will not be included in the general count.

